ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 48261762

თარიღი:25/06/2026

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული)

მოძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის

შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივნისის №g-49.49261755 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს" უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) მოძრავი ქონება დანართი N1-ის შესაბამისად, რომელთა ღირებულება შეადგენს 149650 ლარს.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა მოამზადოს მიღება-ჩაბარების აქტი მოძრავი ქონების გადაცემისათვის.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (უფროსი მ. კანკაძე).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY
221274546

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი